

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრები



იაგო კაჭკაჭიშვილი

იაგო კაჭკაჭიშვილი არის პროფესიით სოციოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი. გარდა ამისა, არის კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ დირექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განხორციელდა სოციალური კვლევები პოლიტიკის, განათლების, ჯანმრთელობის, იდენტობის, ეროვნულობის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებზე.

იაგო კაჭკაჭიშვილი არის ათამდე წიგნისა და 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია ინგლისურ და რუსულ ენებზე. სხვადასხვა დროს იყო/არის: ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის საპატიო წევრი და ა.შ.



ნინო მახაშვილი

ნინო მახაშვილი წლების მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა სოციალური ფსიქიატრიისა და ფსიქოტრავმატოლოგიის სფეროში - როგორც დევნილებსა და ლტოლვილებთან, აგრეთვე პატიმრებთან, ასევე მუშაობდა წამების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თერაპიასა და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე. ამჟამად ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისის“ გუნდთან ერთად ცდილობს კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ხელშეწყობას და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ჰუმანური ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემების და სამსახურების დანერგვას.

ნინო მახაშვილი არის ადამიანის უფლებების და ჯანმრთელობის საერთაშორისო ასოციაციის (ISHHR) გამგეობის წევრი; ადამიანის უფლებების და ჯანმრთელობის ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFHHRO) რეგიონული წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ის ატარებს ტრენინგებს ადამიანის უფლებებსა და

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სხვადასხვა პროფესიონალებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში.

ნინო მახაშვილი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და აქვს ფსიქიატრის დიპლომი. ის ხელმძღვანელობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრს, არის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლექტორი ამავე უნივერსიტეტში.



ნინო გობრონიძე

ნინო გობრონიძე პროფესიით იურისტი, 2005 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებათა სფეროში. ამჟამად ის არის ევროპის საბჭოს ოფისის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, პროექტის უფროსი ოფიცერი.

2013-2017 წლებში ნინო გობრონიძე ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროექტს " ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში", ხოლო 2005-2011 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ღია საზოგადოება სამართლებრივ ინიციატივაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა პატიმართა უფლებების, ინფორმაციის თავისუფლების, ფინანსური გამჭვირვალობის, სასამართლო დამოუკიდებლობისა და არჩევნების თემატიკაზე. იგი არის არაერთი პუბლიკაციის თანაავტორი.

ნინო გობრონიძეს დამთავრებული აქვს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა სამაგისტრო პროგრამა და ასევე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.




ნონა ქურდოვანიძე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მუშაობს 2009 წლიდან. სხვადასხვა დროს იკავებდა ადვოკატის, დევნილთა უფლებებთან დაკავშირებული პროექტების კოორდინატორის, იურიდიული დახმარების ცენტრის ხელმძღვანელის, წამების მსხვერპლთა უფლებებთან დაკავშირებული პროექტის კოორდინატორის პოზიციებს. 2015 წლიდან არის საია-ს გამგეობის წევრი. 2018

<p>ნონა ქურდოვანიძე</p>	<p>წლის თებერვლიდან გამგეობის მიერ არჩეული თავმჯდომარის მოადგილედ. 2019 წლის მარტიდან ხელმძღვანელობს სამართლებრივი დახმარების პროგრამას და არის საია-ს დირექტორთა საბჭოს წევრი. პროგრამა აერთიანებს საია-ს 9 ოფისში მოქმედ იურიდიული დახმარების ცენტრებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდებს. ის პასუხისმგებელია შესაბამისი პროგრამის სტრატეგიულ დანერგვასა და განვითარებაზე, პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტების ეფექტიან განხორციელებაზე, სტრატეგიული სამართალწარმოების შემთხვევების მართვაზე, ასევე, შესაბამისი საორგანიზაციო და მართვის სისტემის განვითარებაზე.</p> <p>ნონა ქურდოვანიძე 2009 წლიდან არის ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით და პირადად აქვს ნაწარმოები 100-ზე მეტი საადვოკატო საქმე საერთო სასამართლოებში და ადმინისტრაციულ ორგანოებში. არის 10-მდე კვლევის ავტორი/თანაავტორი, რომელიც მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობას, არასათანადო მოპყრობას, მშვიდობიანი შეკრების უფლებას და გამოხატვის თავისუფლებას, დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას და სათანადო საცხოვრებლის უფლებას შეეხება.</p> <p>ნონა ქურდოვანიძე ფლობს მაგისტრის ხარისხს სამართალმცოდნეობაში და მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ კონფერენციასა თუ სასწავლო პროგრამაში.</p>
 <p>ბესარიონ ბოხაშვილი</p>	<p>2009 წლიდან დღემდე ბესარიონ ბოხაშვილი მუშაობს ევროკავშირის პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების არჩევით, 2017 წლის 9 დეკემბრიდან ის არის ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრი.</p> <p>ბესარიონ ბოხაშვილი ასევე იყო ევროსაბჭოს, ევროკავშირის, გაეროს განვითარების ფონდის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, გაეროს ბავშვთა ფონდის, გერმანიის ტექნიკური დახმარებისა და თანამშრომლობის ფონდის, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში</p>

	<p>გერმანიის დახმარების ფონდის ექსპერტი ადამიანის უფლებათა საკითხებში. 2004-2005 წლებში მუშაობდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სტრატეგიული სამართალწარმოების ადვოკატად. 2005-2007 წლებში მუშაობდა სახელმწიფო წარმომადგენლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.</p> <p>ბესარიონ ბოხაშვილმა დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით და მიიღო ბაკალავრის ხარისხი. 2015- 2006 წლებში წარჩინებით დაამთავრა გაერთიანებული სამეფოს ნოტინგემის უნივერსიტეტი და მიიღო მაგისტრის წოდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.</p> <p>ბესარიონ ბოხაშვილი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას. იგი არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი. 2012 წლიდან ის ასევე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი წარმომადგენელი საქართველოში მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების იურიდიული განათლების კუთხით.</p> <p>ბესარიონ ბოხაშვილი ადამიანის უფლებების შესახებ არაერთი წიგნის ავტორი და თანაავტორია, განხორციელებული აქვს შედარებითი ანალიზები ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ კანონმდებლობას, პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. ის არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, კავკასიის სამართლის სკოლის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განათლებისა და ტრენინგების ფონდის ლექტორი და ასოცირებული პროფესორი.</p>
	<p>მორის შალიკაშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ის წლების მანძილზე მუშაობს ორგანიზებული დანაშაულის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, სასჯელაღსრულების და დაზარალებულის საკითხებზე. მას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ქართულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ასევე, მას განხორციელებული აქვს კვლევები პენიტენციური</p>

<p>მორის შალიკაშვილი</p>	<p>დაწესებულების გადატვირთვის, კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის, წამების სისხლისსამართლებრივი რეგულირების და პრევენციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრობლემურ საკითხებზე.</p> <p>მორის შალიკაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. 2015 წლიდან არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს წევრი, ხოლო 2020 წლიდან არის განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს წევრი.</p> <p>მორის შალიკაშვილი არის ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი. მიღებული აქვს არაერთი სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია. ის აქტიურად თანამშრომლობს გერმანულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.</p>
--------------------------	--

 <p>გიორგი გოგია</p>	<p>გიორგი გოგია არის ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ის ევროპისა და შუა აზიის განყოფილების ასოცირებული დირექტორი. ის იკვლევს ადამიანის უფლებათა საკითხებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. იგი ავტორია არაერთი ანგარიშისა სისხლის სამართლისა და მართლმსაჯულების რეფორმაზე; პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებაზე; სიციყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე; კონფლიქტების დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებზე; აგრეთვე, საკუთრებისა და შრომით უფლებებზე და სხვა სოციალური თუ ეკონომიკური უფლებების დარღვევებზე.</p> <p>გიორგი გოგია 2006 წლამდე მუშაობდა უფროს ანალიტიკოსად კრიზისების მოგვარების საერთაშორისო ჯგუფში (International Crisis Group), სადაც იკვლევდა და ამზადებდა ანგარიშებს აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთსა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებზე.</p> <p>გიორგი გოგიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და</p>
---	---

ურთიერთობების ფაკულტეტი და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) პლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრატურა.




კონსტანტინე კორკელია

კონსტანტინე კორკელია 1997 წლიდან ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას და ამჟამად არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი.

კონსტანტინე კორკელია იყო საქართველოს გენერალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო მოგვიანებით - იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე. იგი იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მათ შორის იყო ლატვიაში საქართველოს ელჩი (2008-2013 წწ.) და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი (2013-2017 წწ.).

კონსტანტინე კორკელიამ დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, მოგვიანებით კი - ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურა (cum laude). 1999 წელს ის გახდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ), ხოლო 2003 წელს - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ). იგი არის 30-მდე წიგნის ავტორი/რედაქტორი და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომლებიც გამოიცა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.



გურამ იმნაძე

გურამ იმნაძე 2013 წლიდან მუშაობს EMC-ში, ხოლო 2019 წლიდან არის ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი და უშუალოდ ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამას. 2019 წლიდან, ის არის მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი სამუშაო სფეროებია დემოკრატიული მმართველობა; მართლმსაჯულების და სამართალდამცავი სისტემები; სასამართლოს ხელმისაწვდომობა; სისხლის სამართლის პოლიტიკა და რეპრესიული ნარკოპოლიტიკა; უსაფრთხოების სექტორი და პოლიციის/პროკურატურის ანგარიშვალდებულება.

გურამ იმნაძე 2016-2018 თანამშრომლობდა Human Rights Watch-თან ნარკოპოლიტიკის რეფორმის ადვოკატირების პროცესში.

	<p>იგი არის ათზე მეტი კვლევის/ანგარიშის ავტორი/თანაავტორი, აგრეთვე სხვადასხვა დროს ორგანიზაციას წარმოადგენდა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში.</p> <p>გურამ იმნაძეს მოჰოვებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები სამართლის მიმართულებით, აგრეთვე სასექსის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის მიმართულებით.</p>
--	---